NEWSLETTER

დეკემბერი, 2017

GEA GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

- **საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმი საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა**

- **ბაქოში ქართული სავაჭრო სახლი გაიხსნა**

- **შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადასამზადებელი კურსი დასრულდა**

- **ტრენინგი - საბაჟო და საგადასახადო საკითხები**

შრომის უსაფრთხოების მენეჯერები გადამზადდნენ

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო სატრენინგო ცენტრის (ITC ILO) ექსპერტებტან ერთად შეიმუშავა გრძელვადიანი სატრენინგო კურსი ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადასამზადებლად.

ამ ეტაპზე დასამზადების პროგრამა დაასრულა 40-მდე კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერმა.

აღნიშნული თემატიკის შესაბამისად კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების მიმართ მოთხოვნა გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის მოთხოვნების საფუძველზე შექმნა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი და გაამკაცრა რეგულაციები ამ მიმართულებით.

საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით დაშვებული შეცდომებით გამოწვეული ფატალური შედეგების გათვალისწინებით.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ითვალისწინებს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც აღმოჩნდენ კომპანიები და აძლიერებს თანამშრომლობას კერძო სექტორთან შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. კეროდ, კონსულტაციების, აუდიტის, კადრების მომზადება-გადამზადებისა შედეგად ასოციაციის წევრი კომპანიები მომზადებულები შეხვდებიან ახალი რეგულაციების აღსრულებას.

ტრენინგს კურსი საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში 21 დეკემბერს დასრულდა წარმატებულ კურსდამთავრებულებს შრომის

საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო ტრენინგ ცენტრისა (ITC ILO) და GEA_ს სერტიფიკატები გადაეცათ.

დამსაქმებელთა ასოიციაცია ბიზნეს სექტორიდან წამოსული მაღალი ინტერესიდან გამომდინარე 2018 წლის თებერვალში ელოდება მონაწილეთა მომდევნო ნაკადს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სთავაზობს სატრენინგო კურში ჩართვას.

შემაჯამებელი ღონისძიება 21 დეკემბერს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმი საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ორგანიზებით საქართველო-თურქეთის ბიზნეს ფორუმი გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნებს შორის ბიზნეს-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და სამომავლო კავშრების დამყარებას.

თურქეთის მხრიდან ბიზნეს ფორუმზე წარმოდგენილი იყო 20 კომპანია რძის პროდუქტებისა და სამშენებლო მასალების წარმოების სფეროებიდან.

აღსანიშნავია, რომ ფორუმი გახსნა თურქეთის რესპუბლიკის ახალმა ელჩმა საქართველოში ფატმა ჯერენ იაზგან, რომელმაც პირველად დაამყარა კომუნიკაცია ქართულ ბიზნეს სექტორთან ელჩის სტატუსით.

ფორუმს აგრეთვე ესწრებოდა არდაჰანის რეგიონის მერი მეჰეთ ემილ ბილმესი და საქართველოს მხრიდან 60-ზე მეტი კომპანია შესაბამისი ბიზნეს სექტორებიდან.

ფორუმის ფარგლებში გაიმართება B2B შეხვედრები კომპანიებს შორის ინფორმაციის სიღრმისეულად გაცვლის მიზნით.

ბიზნეს ფორუმი საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

CSR და თანამედროვე კომპანიების გამოწვევები

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და Junior Achievement Georgia-ს ორგანიზებით გაიმართა სემინარზე "CSR და თანამედროვე კომპანიების გამოწვევები".

სემინარზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

- რა არის CSR; CSR-ის ძირითადი საკითხები;
- CSR-ის 4 მიმართულება, ტიპები და სამმაგი კონცეფცია;
- CSR-ის ბენეფიტები; რას მოიცავს სოციალური პასუხისმგებლობა;
- CSR-ი 21-ე საუკუნეში; CSR- მენეჯმენტი; საერთაშორისო სერტიფიცირება;
- Svetoslav Manoilov CSR-ის შესახებ.

ტრენინგს გაუძღვებიან Junior Achievement Georgia-ს ექსპერტი ელენე რთველაძე და Junior Achievement Bulgaria-ს ექპერტი სვეტოსლავ მანოილოვი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია Junior Achievement Georgia-სთან ერთად იწყებს წევრი კომპანიებსთვის CSR-ის მიმართულებით ახალი სერვისების შეთავაზებას, რომლებიც კომპანიებს დაეხმარება მაქსიმალურად ეფექტური გახდეს მათი აქტივობები სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.

საქართველო-რუსეთის ბიზნეს ფორუმი

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და მისი წევრი კომპანია შპს „უნივერს ბიზნეს ჯგუფის“ ორგანიზებით გაიმართა საქართველო-რუსეთის ბიზნეს ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას.

ბიზნეს ფორუმში რუსეთის მხრიდან წარმოდგენილი იყო 8 რუსული კომპანია შემდეგი სექტორებიდან: საშენებლო, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, შესაბამისი სფეროების წარმომადგენელ ქართულ კომპანიებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გააქტიურებითა და საქმიანი ურთიერთობების დამყარებით.

ბიზნესფორუმის ფარგლებში გაიმართება ორმხრივი შეხვედრები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და უნივერს ბიზნეს ჯგუფის მიერ სისტემატიურად ორგანიზებული მსგავის ტიპის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ბიზნეს სექტორისთვის საქმიანობის არეალის გაფართიებისკენ.

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში მასწავლებელთა ტრენინგი გაიმართა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში გაიმართა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ტრენინგი.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენს პროფესიული ორიენტაციის საქმიანობისას პროექტის ფარგლებში შემუშავებული მოდულების გაცნობა და შემდგომში მათი პრაქტიკაში შესაძლო გამოყენების შესაძლებლობის სწავლება.

ტრენინგზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

• პროფესიული განათლება საქართველოში;

• რა ფაქტორები განაპირობებს პროფესიული განათლებისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირებას და რა აქტუალური პრობლემები არსებობს აღნიშნულ სფეროებში;

• პროფესიული განათლება - ტრადიციული და კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება

• მასწავლებელზე ორიენტირებლი და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება პროფესიულ განათლებაში;

• ინტერაქციული სწავლების მეთოდები და ვეტ-სახლის კონცეფცია.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების გადამზადება პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ თემატიკაზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ამ მიმართულებიც ცნობიერების ამაღლებას და შესაბამისად, მათ დაინტერესებას. თავის მხრივ, მასწავლებლები გამოიმუშავებენ იმ უნარებს, რაც შემდგომ პრაქტიკაში მათ დაეხმარება მოსწავლეებში აღმოაჩინონ კონკრეტული პროფესიული უნარები და დაეხმარონ მათ შემდგომ განვითარებაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით 2016 წლიდან მიმდინარეობს პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტი, რომლის მიზანია რომის ბაზარზე სათანადო ადამიანური რესურსის გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა ტრენინგი თემაზე - საბაჟო და საგადასახადო მოთხოვნები და პროცედურები.

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში 16 დეკემბერს გაიმართა ტრენინგი თემაზე - საბაჟო და საგადასახადო მოთხოვნები და პროცედურები.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია საბაჟო და საგადასახადო სფეროში ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ცვლილებებთან დაკავშირებით სისტემატურად იწვევს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელ პირებს, რათა კომპანიების წრმომადგენლებს საშუალება ჰქონდეთ მიიღონ ინფორმაცია უშუალოდ იმ პირებისგან, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე მუშაობენ სახელმწიფო სტრუქტურებში.

ტრენინგის მიზნად ისახავდა კომპანიების წარმოადგენლების კომპეტენციის ამაღლება საბაჟო და საგადასახადო პროცედურების ნიუანსებში, რათა გამარტივდეს და უფრო ეფექტური გადეს გადაწყვეტილებების მიღებ ამ მიმართულებით.

კერძოდ, ტრენინგზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

- საბაჟო პროცედურები;
- სასასაზღვრო- საკარანტინო ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლი;
- გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებზე (გმო) კონტროლი;
- სასაქონლო ოპერაციები;

- საქონლის/მომსახურების მიწოდების ავანსების დღგ-ით დაბეგვრა
- იმპორტის გადასახდელები.
- სხვ.

ტრენინგს უძღვებოდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, შემოსავლების სამსახურის მთავარი ექსპერტ-აუდიტორი გონერი ურიდია.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

სწავლების პროცესი დატვირთული იყო პრაქტიკული სავარჯიშოებით და დისკუსიის ნაწილში მონაწილეებოს საშუალება ჰქონდათ მიეღოს მათ პრაქტიკაში არსებულ ყველა პრობლემურ კითხვაზე საბაჟო და საგადასახადო თემებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოცაცია წევრ და პარტნიორ კომპანიებს მუდმივად სთავაზობს ტრენინგებსა და სემინარებს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე.

GEA-ს შეხვედრა კერძო უმაღლესის სასწავლებილების ასოციაცია

საქართველოს დამსაქმებელთა ასოიცაციის ვიცე პრეზიდენტი მიშა კორძახიამ კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციასთან გაცნობითი შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა წარადგინეს ორგანიზაციული მიზნები, მიმდინარე პროექტები და აქტივობები, რომელთა გათვალისწინებითაც განიხილეს სამომავლოდ თანამშრომმლობის პერსპექტივები აღსანიშნავია, რომ ბიზნეს გაერთიანება GEA აქტიურად თანამშრომლობს ყველა სახის სასწავლო

დაწესებულებასთან (სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი) შრომის ბაზარის მოთხოვნის შესაბმისი სამუშაო ძალის უზრუნველყოფის მიზნით. ამდენად, დიდია ინტერესი მსგავსი ტიპის გერთიანებეთან თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიები ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით მცირე და საშუალო ზომის კომპანიები ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ.

შეხვედრა მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო ზომის საწარმებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და სიახლეების გაცნობას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაგეგმილი რეფორმა მცირე და საშუალო ზომის კომპნიებს სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის წარდგენას ავალდებულებს. საშუალო ზომის საწარმოები ახალ სტანდარტზე 2018 წლიდან გადავლენ, ხოლო მცირე ზომის კომპანიები - 2019-დან.

შეხვედრაზე ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობის სამსახურის დეპატრამენტის უფროსის, დავით მჭედლიძის მიერ გაკეთდა პრეზენტაცია - ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდის www.saras.gov.ge - სა და კანონის მოთხოვნების შესახებ.

ხოლო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესახებ მოხსენებას ფინანსური ოფისის მმართველმა პარტნიორმა მიხეილ ჭელიძემ გააკეთა.

შეხვედრის დასასრულს დისკუსიის ნაწილში შეხვედრის მონაწილეებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები უშუალოდ მოესმინათ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსისი იური დოლიძის მხრიდან.

შეხვედრა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა და მასში მონაწილეობას 60-ზე მეტი კომპანიის წარმოადგენელი იღებდა.

ბაქოში ქართული სავაჭრო სახლი გაიხსნა

ქართული სავაჭრო სახლი ბაქოს აგრო მოლში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მხარდაჭერით გაიხსნა.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პეზიდენტი დანიელ გახარია იმყოფებოდა ბაქოში - აგრო მოლის სივრცეში ქართული სახლის გახსნაზე, რომელიც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების თანამედროვე სავაჭრო ცენტრს. ქართული სავაჭრო სახლის საზეიმო გახსნაზე მოწვეულ სტუმრებს ქართული სამზარეულო და ღვინო შესთავაზეს.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია წევრ კომპანიებს, რომელთაც სურთ, პროდუქტის გატანა აზერბაიჯანის ბაზარზე, სთავაზობს აღნიშნული პლატფორმის გამოყენებას, როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობისთვის.

ბაქოს აგრო მოლი საერთაშორისო სტანდარტების საგამოფენო სივრცეა, რომელშიც თავს იყრის ისეთი ქვეყნებში წარმოებული პროდუქტი, როგორებიცაა (აზერბაიჯანი,ირანი, ერაყი, უზბეკეთი, ყაზახეთი,იაპონია, კორეა, რუსეთი და ა.შ.).

დანიელ გახარიამ მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა არაერთი ქვეყნის წარმომადგენელთან საქართველოში წარმოებული პროდუქტის საექსპორტო არეალის გაზრდის მიზნით.

უახლოეს პერიოდში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია საქმიანი ვიზიტით კვლავ გაემგზავრება ბაქოში და წარადგენს რამდენიმე ადგილობრივი მწარმოებლის პროდუქტს „აგრო მოლში“.

კომპანიებმა Junior Achievement Georgia-სთან ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრმა და პარტნიორმა კომპანიებმა Junior Achievement Georgia-სთან ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს, რომელიც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) მიმართულების სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისთვის პასუხიმგებლობების გადანაწილებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია კორპორტიული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით წევრ კომპანიებს ამ მიმართულებით პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში მხარდაჭერას სთავაზობს.

ბიზნეს გაერთიანება
საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

ნოემბერი, 2017

NEWSLETTER

0159, საქართველო, თბილისი,
ა. ბელიაშვილის ქ. #8

T: +995 32 2 14 73 73

M: +995 579 555 551

E: employer@employer.ge

www.employer.ge